**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის**

ოქმი № 10

ქ. თბილისი, 30 მაისი, 2025 წელი

სხდომა გახსნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ,
დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.
ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 34 წევრი
სხდომას ესწრებოდა 24 ხმის უფლების მქონე წევრი

დღის წესრიგი:

1. თსუ კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ;
*/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მ. ჩავლეიშვილი/*

2. თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ;
*/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მ. ჩავლეიშვილი/*

3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემებისა და მეცნიერ-ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ;
*/ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოც. პროფ. მ. ლობჟანიძე/*

4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების პროექტის დამტკიცების შესახებ;
*/ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოც. პროფ. მ. ლობჟანიძე/*

5. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ცვლილებების შეტანის შესახებ;
*/ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოც. პროფ. მ. ლობჟანიძე/*

6. მიმდინარე საკითხები

**მოისმინეს:** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

**ჩატარდა კენჭისყრა**
**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24**
**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 30 მაისის №10 სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს:** თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

*/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილი/*

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მარინა ჩავლეიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ტურიზმის სკოლის დირექტორის, ბატონ სერგო მელაძის წერილი (№12744/29, 27.05.2025), რომლის მიხედვითაც ითხოვენ, **მიენიჭოს** ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ტურიზმში 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ტურიზმის საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

დიპლომი ჩვეულებრივი

| № | *გვარი, სახელი* | *პირადი ნომერი* |
|---|---|---|
| 1 | გულიევი ორხან | 28001112393 |
| 2 | სისაური გიორგი | 35001118464 |
| 3 | ქარჩავა ლაშა | 01024090415 |
| 4 | ჯალალიანი მარიამ | 01011087606 |

**აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს**
**ჩატარდა კენჭისყრა**
**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24**
**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს:** **მიენიჭოს** ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ტურიზმში 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ტურიზმის

საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

**დიპლომი ჩვეულებრივი**

| № | *გვარი, სახელი* | *პირადი ნომერი* |
|---|---|---|
| 1 | გულიევი ორხან | 28001112393 |
| 2 | სისაური გიორგი | 35001118464 |
| 3 | ქარჩავა ლაშა | 01024090415 |
| 4 | ჯალალიანი მარიამ | 01011087606 |

**მოისმინეს:** თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

*/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/*

ა. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა, ქალბატონმა მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№11205/10, 08.05.2025) თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა თსუ ფოთის ფილიალის ბაკალავრიატის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულ **ანდრეი ვლასოვისთვის** მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება და დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

წარმოდგენილი საარქივო მასალებიდან დგინდება შემდეგი:

- ანდრეი ვლასოვი 2004 წლის 20 სექტემბრიდან ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის III კურსის საბიუჯეტო სექტორზე (ბრძანება №29, 20.09.2024 - თსუ ფოთის ფილიალი).
- 2005 წელს მიმდინარე სასწავლო წლის აკადემიური მაჩვენებლის შესაბამისად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტი ანდრეი ვლასოვი გადაყვანილი იქნა IV კურსზე (ბრძანება №13, 20.06.2005 - თსუ ფოთის ფილიალი).
- 2006 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალის დირექტორის ბრძანებით საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის კურსდამთავრებულ ანდრეი ვლასოვს მიენიჭა ბაკალავრის კვალიფიკაცია (ბრძანება №9, 7.07.2006 - თსუ ფოთის ფილიალი).

ხარისხის მინიჭების შესახებ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალის დირექტორის 2006 წლის 7 ივლისის №9 ბრძანებით ანდრეი ვლასოვისთვის მინიჭებული ბაკალავრის

კვალიფიკაცია არ არის შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციასთან. კურსდამთავრებულს ბაკალავრის კვალიფიკაციის ნაცვლად უნდა მინიჭებოდა სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტის საბჭოს ეთხოვა განეხილა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულ **ანდრეი ვლასოვისთვის** მინიჭებული კვალიფიკაციის/ხარისხის დაზუსტების (კორექტირების) საკითხი და „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად ანდრეი ვლასოვს მინიჭებული **„ბაკალავრის კვალიფიკაციის"** ნაცვლად მიენიჭოს **„სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი"**.

**აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს**
**ჩატარდა კენჭისყრა**
**კენჭისყრის შედეგები: მომხრე** - 24
**წინააღმდეგი** - 0

**დაადგინეს:** „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად თსუ ყოფილი ფოთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულ ანდრეი ვლასოვს **„ბაკალავრის კვალიფიკაციის"** ნაცვლად მიენიჭოს **„სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი"**.

**ზ.** ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა, ქალბატონმა მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№10776/10, 05.05.2025) სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2008 წლის კურსდამთავრებულ **თეონა მშვიდობაძის** დიპლომის დანართი და მისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის შესაბამისობაში მოყვანა „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათალის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებასთან.

თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტების საფუძველზე დადგინდა, რომ თეონა მშვიდობაძე 2004 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ეკონომიკის

ფაკულტეტის არასაბიუჯეტო (ფასიანი) განყოფილების დასწრებული სწავლების მაკროეკონომიკის სპეციალობაზე (ბრძანება №4/963, 27.08.2004).

„ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ" თსუ რექტორის 2009 წლის 15 იანვრის №39/01-04 ბრძანებით ფაკულტეტის 2008 წლის 30 ივნისის საატესტაციო კომისიის გადაწყვეტლების საფუძველზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის სპეციალობის 2008 წლის კურსდამთავრებულ თეონა მშვიდობაძეს მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით, სახელმწიფო დაფინანსება 0%.

2008-2009 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN№002396 (სარეგისტრაციო №002396) რეგისტრირებულია თეონა მშვიდობაძის სახელზე.

„ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომების გაცემის შესახებ" თსუ რექტორის 2009 წლის 15 იანვრის №39/01-04 ბრძანებით ფაკულტეტის 2008 წლის 30 ივნისის საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სექტორის 2008 წლის სხვადასხვა სპეციალობების კურსდამთავრებულებს თეონა მშვიდობაძესთან ერთად მიენიჭათ ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი:

- ეკონომისტ-მათემატიკოსის კვალიფიკაციით ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობის 13 კურსდამთავრებულს;
- ეკონომისტის კვალიფიკაციით მაკროეკონომიკის სპეციალობის 53 კურსდამთავრებულს;
- ეკონომისტის კვალიფიკაციით სტატისტიკის სპეციალობის 31 კურსდამთავრებულს.

ვინაიდან, „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ" თსუ რექტორის 2009 წლის 15 იანვრის №39/01-04 ბრძანებით კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას", ამიტომ, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭომ მინიჭებული ხარისხის კორექტირების საკითხი განიხილა 2017 წლის 6 სექტემბრის (ოქმი №7) და 2019 წლის 27 თებერვლის (ოქმი №3) სხდომებზე. საბჭოს გადაწყვეტილებით:

- ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ეკონომისტ-მათემატიკოსის კვალიფიკაციით" მიენიჭა „სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ეკონომისტ-მათემატიკოსის კვალიფიკაციით" *(თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს ოქმი №7, 06.09.2017);*

- სტატისტიკის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“ მიენიჭა „სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“ *(თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს ოქმი №3, 27.02.2019).*

ამჟამად, „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომების გაცემის შესახებ“ თსუ რექტორის 2009 წლის 15 იანვრის №39/01-04 ბრძანებით მაკროეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ხარისხის არ არის შესაბამისობაში მოყვანილი „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებასთან.

ქალბატონ მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომების გაცემის შესახებ თსუ რექტორის (№39/01-04, 15.01.2009) მაკროეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შეცვლასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად. კერძოდ, მაკროეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულ თეონა მშვიდობაძეს მინიჭებული ***„ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით“ ნაცვლად მიენიჭოს „სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით“*** და განხორციელებული ცვლილება გავრცელდეს „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომების გაცემის შესახებ“ თსუ რექტორის 2009 წლის 15 იანვრის №39/01-04 ბრძანებით მაკროეკონომიკის სპეციალობის ყველა კურსდამთავრებულზე.

**აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს**
**ჩატარდა კენჭისყრა**
**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24**
**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს:**

1. „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბვის №633 ბრძანების შესაბამისად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის სპეციალობის 2008 წლის კურსდამთავრებულ თეონა მშვიდობაძეს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა **„ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაცით“** მიენიჭოს **„სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“**

2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთვრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 15 იანვრის №39/01-04 ბრძანებაში მითითებულ მაკროეკონომიკის სპეციალობის ყველა კურსდამთავრებულზე *(„ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ" თსუ რექტორის 2009 წლის 15 იანვრის №39/01-04 ბრძანება)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

გ. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა, ქალბატონმა მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილებით (№12105/10, 19.05.2025 და №12305/10, 21.05.2025) თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2004 წლის კურსდამთავრებულ **ლევან ფულაძისთვის** მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ **ლევან ზაქარიას ძე ფულაძე** 2000 წლის მისაღები გამოცდების საფუძველზე ჩაირიცხა ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაზე (ბრძანება №4/744, 02.08.2000).

ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის კურსდამთავრებულ ლევან ფულაძეს ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 15 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №2) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2004 წლის 15 ივლისის №4/834 ბრძანებით მიენიჭა <u>ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით</u> და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2004 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN№12222 (სარეგისტრაციო №01/153) რეგისტრირებულია ლევან ფულაძის სახელზე.

საარქივო დოკუმენტებში წარმოდგენილია ლევან ფულაძის სახელზე შევსებული ბაკალავრის დიპლომის დანართი, რომელზეც არ არის არც პასუხისმგებელი პირის ხელმოწერები და არც ბეჭედი. დანართიდან დგინდება, რომ **„ლევან ფულაძე, დაბადებული 29.12.1982 წ. 2000 წელს ჩაირიცხა თსუ „ფინანსები და საბანკო საქმე" სპეციალობაზე. 2004 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, სპეციალობით ფინანსები და საბანკო საქმე და მიენიჭა <u>ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი</u>"**.

ლევან ფულაძის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომის დანართში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში

ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 15 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/834, 15.07.2004) მინიჭებულ ხარისხთან.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა მოიძია 2005 წელს თსუ-ს მიერ გამოცემული საცნობარო ხასიათის გზამკვლევი, რომელიც მოიცავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ ფაქტობრივ ინფორმაციას ინსტიტუციური აკრედიტაციის მიჯნაზე - 2004 წლის ბოლოსთვის. ცნობარიდან ჩანს, რომ ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატში „ფინანსები და საბანკო საქმის“ სპეციალობის კურსდამთავრებულთ ენიჭებოდათ **ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი**.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლევან ფულაძის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომის (B№12222, სარეგისტრაციო №01/153) შესაბამისად უნდა შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 15 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №2) გადაწყვეტილება და კურსდამთავრებულებს ნაცვლად „ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა, ეკონომისტის კვალიფიკაციით“ უნდა მიენიჭოთ „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“.

ასოცირებულმა პროფესორმა მ. ჩავლეიშვილმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, რათა შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 15 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №2) გადაწყვეტილებით ლევან ფულაძისთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მის სახელზე გაცემულ დიპლომისა და დიპლომის დანართში მითითებულ ხარისხთან. კერძოდ, ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2004 წლის კურსდამთავრებულ ლევან ფულაძეს მინიჭებული „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით“ ნაცვლად მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით“. განხორციელებული ცვლილება კი გავრცელდეს ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 15 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№2) დაფიქსირებულ ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის დღის განყოფილების ყველა კურსდამთავრებულზე.

**აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს**

**ჩატარდა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24**

**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს:**

1. შესწორდეს ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2004 წლის კურსდამთავრებულ ლევან ფულაძისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია და ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით“ მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით“
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 15 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№2) დაფიქსირებულ ყველა დღის განყოფილების კურსდამთავრებულზე *(იხ. ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკოს საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №2, 15.06.2004)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

**მოისმინეს**: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

*\/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოც. პროფ. მ. ლობჟანიძე/*

დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ქალბატონმა მ. ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომების თემატიკა და ხელმძღვანელები:

1. *გიგა მურუსიძე - „BRICS-ის ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარების ტენდენციები“*
მეცნიერ-ხელმძღვანელი: *აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე*
2. *მარიამ ვასაძე - „ლოჯისტიკური სექტორის ციფრული ტრანსფორმაციის გავლენა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე*
მეცნიერ-ხელმძღვანელი: *ასოცირებული პროფესორი შოთა ვეშაპიძე*
3. *გურამ აბულაშვილი - „გლობალური პროტექციონისტული ტემდენციების გავლენა საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე“*
მეცნიერ-ხელმძღვანელი: *ასოცირებული პროფესორი შოთა ვეშაპიძე*
4. *ბიზნესის ადმინისტრირების* სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ *მარიამ ბერიძის* განცხადება მეცნიერ-ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ. *ასოცირებული პროფესორის მანანა ხარხელის* ნაცვლად, *ასოცირებული პროფესორი მირონ ტუღუში.*
5. *ბიზნესის ადმინისტრირების* სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ *ლევან დანელიას* სადისერტაციო თემის ცვლილება. *,,საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს სამთო-სათხილამურო ტურისტული პროდუქტის პოზიციონერებისათვის მარკეტინგული მიდგომები“,* ნაცვლად *„სოციალური მედიის გავლენა საქართველოს ტურისტული მომსახურების მომხმარებელთა ქცევაზე“.*

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

**დაადგინეს:** დამტკიცდეს დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემები და მეცნიერ-ხელმძღვანელები წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს:** დეკანის მოადგილის, ასოცირებული პროფესორის ქალბატონ მ. ლობჟანიძის ინფორმაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების პროექტის დამტკიცების შესახებ;

დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ქალბატონ მ. ლობჟანიძის აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებს გაეგზავნათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების პროექტი. დოქტორანტურის დებულება სრულ შესაბამისობაშია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ მინიმალურ სტანდარტს ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონთან, სხვა ნორმატიული და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებთან *(თანდართული ფაილი #1).* მან საბჭოს წევრებს მიმართა მხარი დაუჭირონ დოქტორანტურის დებულებას წარმოდგენილი სახით.

აზრი გამოთქვეს: პროფ. გ. ღაღანიძემ, პროფ. ი. ანანიაშვილმა

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

**დაადგინეს:** დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების პროექტის ცვლილებები წარმოდგენილი სახით (დოქტორანტურის დებულების პროექტი ერთვის ოქმს *თანდართული ფაილი #1*-ის სახით);

**მოისმინეს:** სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ცვლილებების შეტანის შესახებ;

*/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოც. პროფ. მ. ლობჟანიძე/*

დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ქალბატონმა მ. ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა სასწავლო პროცესის

მარეგულირებელ წესში ცვლილებები, რომელიც შეეხება აკადემიური პერსონალის მიერ დამატებითი საათების ჩატარების ზედა ზღვარის დაწესებას. წარმოდგენილი ცვლილების მიხედვით, აკადემიური პერსონალისთვის დამატებითი სააუდიტორიო საათების საერთო რაოდენობა კვირაში განისაზღვრება არაუმეტეს 14 საათისა, რომელიც რეგულირდება შესაბამისი კათედრის ხელმძღვანელის მიერ, კათედრის პრიორიტეტებისა და გონივრული დაშვებიდან კვირეული დატვირთვის შესაბამისად. მან საბჭოს წევრებს მიმართა მხარი დაუჭირონ დოქტორანტურის დებულებას წარმოდგენილი სახით (დანართი #1).

**აზრი გამოთქვეს: პროფ. ა. სილაგაძემ, პროფ. თ. შენგელიამ**
**ჩატარდა კენჭისყრა**
**კენჭისყრის შედეგები: მომხრე** - 24
**წინააღმდეგი** - 0

**დაადგინეს:** დამტკიცდეს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ცვლილებები წარმოდგენილი სახით (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ერთვის ოქმს *დანართი #1* სახით).

**მიმდინარე საკითხები**

**მოისმინეს:** დეკანის მოადგილის, ასოცირებული პროფესორის ქალბატონ მ. ლობჟანიძის ინფორმაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ

დეკანის მოადგილემ, ქალბატონმა მ. ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№11205/10, 08.05.2025) თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა თსუ ფოთის ფილიალის ბაკალავრიატის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულ **ანდრეი ვლასოვისთვის** მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება და დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

ანდრეი ვლასოვის სახელზე უნდა მომზადდეს ახალი დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანების თანახმად ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღის და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო რეკვიზიტების დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად, მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და წარმოდგენილი საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე დაადგინა შემდეგი:

- ანდრეი ვლასოვი 2004 წლის 20 სექტემბრიდან ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის III კურსის საბიუჯეტო სექტორზე (ბრძანება №29, 20.09.2024 - თსუ ფოთის ფილიალი).
- 2005 წელს მიმდინარე სასწავლო წლის აკადემიური მაჩვენებლის შესაბამისად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტი ანდრეი ვლასოვი გადაყვანილი იქნა IV კურსზე (ბრძანება №13, 20.06.2005 - თსუ ფოთის ფილიალი).
- 2006 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალის დირექტორის ბრძანებით საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის კურსდამთავრებულ ანდრეი ვლასოვს მიენიჭა ბაკალავრის კვალიფიკაცია (ბრძანება №9, 7.07.2006 - თსუ ფოთის ფილიალი).

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით ჩატარებული ადმინისტრაციული საქმისწარმოებით დასტურდება ანდრეი ვლასოვის სწავლისა და ბაკალავრის კვალიფიკაციის მინიჭების ფაქტი და რადგან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე არ იძებნება თსუ-ს ყოფილი ფოთის ფილიალის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულთათვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები,

მიზანშეწონილია ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს თსუ ყოფილი ფოთის ფილიალის დირექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად ამავე ფილიალის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

**აზრი გამოთქვეს: პროფ. ა. სილაგაძემ**
**ჩატარდა კენჭისყრა**
**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24**
**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს:** საბჭომ მხარი დაუჭირა შემოთავაზებულ წინადადებას და დაადგინა, რომ აღდგენილად ჩაითვალოს ფოთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულ ანდრეი ვლასოვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია და ფოთის ფილიალის დირექტორის 2006 წლის 7 ივლისის №9 ბრძანებით თსუ ფოთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის 2006 წლის კურსდამთავრებულ **ანდრეი ვლასოვისთვის** აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს 2006 წლის 7 ივლისი და ოქმის ნომრად №9/პ.

**მოისმინეს:** დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ქალბატონმა მ. ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს გააცნო თსუ საინფორმაციო ტექნოლოგიების უფროსის, ქალბატონ ნატო ჩუბინიძის წერილი (№5098/10, 23.02.2024), საიდანაც ირკვევა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი დაჩი ტალახაძე არასაქცირებული წესით შევიდა მონაცემთა მართვის სისტემაში (LMS.TSU.GE) და ცვლილებები შეიტანა, კერძოდ, განახორციელა შეფასებების ცვლილება, როგორც თავის, ისე საბა კალანდაძის, თორნიკე ხინთიბიძის და სალომე კობახიძის სასწავლო ბარათებში.

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა აღნიშნულ საკითხზე დაიწყო საქმისწარმოება და დეტალურად შეისწავლა (გადაამოწმა) დაჩი ტალახაძის (პ/ნ: 18001071283), საბა კალანდაძის (01027069750), თორნიკე ხინთიბიძის (პ/ნ: 33001076518) და სალომე კობახიძის (პ/ნ: 010240756672) პირადი საქმეები, სასწავლო ბარათები და უწყისები. ერთმანეთთან იქნა შედარებული სტუდენტთა სასწავლო ბარათები, მონაცემთა მართვის სისტემის ელექტრონული უწყისები და ფაკულტეტზე შენახული უწყისები (ქაღალდური და ელექტრონული ვერსიები, რომლებიც იბეჭდება ყოველი სემესტრის დასრულებისთანავე).

მოკვლეული ინფორმაციის შედეგად გამოვლენინი იქნა შემდეგი გარემოებები. კერძოდ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის

საფეხურზე შუალედური, დასკვნითი, დამატებითი და ინდივიდუალური გამოცდების ორგანიზებას აკეთებს თსუ-ს საგამოცდო ცენტრი. მათი ორგანიზებით ხორციელდება გამოცდების ჩატარება როგორც წერითი ფორმატით, ისე კომპიუტერებზე რესურს-ცენტრებში. სამწუხაროდ, თსუ საგამოცდო ცენტრის მიერ გამოცდების უწყისების გადმოცემა ფაკულტეტისთვის არ ხორციელდება. რაც შეეხება პანდემიის პერიოდს (2020 წლის გაზაფხულის სემესტრიდან 2022 წლის გაზაფხულის სემესტრის დასკვნით გამოცდებამდე) შუალედური, დასკვნითი, დამატებითი და ინდივიდუალური გამოცდების ორგანიზებას ახორციელებდა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და შესაბამისად ამ პერიოდის ყველა უწყისი ინახება ფაკულტეტზე (ელექტრონული ფორმით).

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის სამსახური კონტროლის მიზნით ელექტრონულად იღებს ბაზიდან უწყისებს დასკვნითი გამოცდის დაწყების წინ და გადასცემს შესაბამის პედაგოგს უწყისში დაფიქსირებული ინფორმაციის სისწორის დასადგენად. პედაგოგის დასტურის შემდეგ კი სამსახური უწყისებს ინახავს ელექტრონული სახით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტზე არ ინახება შუალედური, დასკვნითი, დამატებითი და ინდივიდუალური გამოცდის უწყისები (გარდა პანდემიის პერიოდისა). კითხვის ნიშნის ქვეშ დგას მხოლოდ დასკვნითი გამოცდის შეფასება. რაც შეეხება შუალედური გამოცდის შეფასებას, იგი ფიქსირდება დასკვნით გამოცდების დაწყებამდე ამოღებულ უწყისებში და მასში ცვლილები შეტანა ადვილად შესამჩნევია.

მოკვლევის შედეგად ქრონოლოგიურად წარმოგიდგენთ დაჩი ტალახაძის, საბა კალანდაძის, თორნიკე ხინთიბიძის და სალომე კობახიძის შედეგებს სემესტრების მიხედვით:

<u>დაჩი ტალახაძე (პ/ნ: 18001071283)</u> 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ჩაირიცხა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე. ამჟამად იგი არის XI სემესტრის სტატუსშეჩერებული სტუდენტი.

| № | სასწავლო კურსი | კრედიტი | შეფასება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 2019-2020 სასწავლო წელი - შემოდგომის სემესტრი | | | | |
| 1 | ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები | 10 | 60 ქულა | |
| 2 | ინგლისური ენა B1.1 | 5 | 78 ქულა | |
| 3 | ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში | 5 | 74 ქულა ნაცვლად 87 ქულისა | უნდა აღდგეს შეფასება 74 ქულა |
| 4 | მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 1 | 5 | 61 ქულა ნაცვლად 81 ქულისა | უნდა აღდგეს შეფასება 61 ქულა |
| 5 | მიკროეკონომიკის პრინციპები | 5 | 51 ქულა ნაცვლად 65 ქულისა | უნდა აღდგეს შეფასება 51 ქულა |
| 2019-2020 სასწავლო წელი - გაზაფხულის სემესტრი | | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა | 5 | 61 ქულა | |
| 2 | ინგლისური ენა B1.2 | 5 | 74 ქულა | |
| 3 | მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 2 | 5 | 57 ქულა | |
| 4 | მაკროეკონომიკის პრინციპები | 5 | 74 ქულა | |
| 5 | სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 1 | 5 | 69 ქულა | |
| 6 | შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში | 5 | 78 ქულა | |
| **2020-2021 სასწავლო წელი - შემოდგომის სემესტრი** | | | | |
| 1 | C++ პროგრამირება ეკონომიკასა და ბიზნესში | 5 | 82 ქულა | |
| 2 | ეკონომეტრიკა 1 | 5 | 67 ქულა | |
| 3 | ინგლისური ენა B2.1 | 5 | 81 ქულა | |
| 4 | ლიდერობა - მართვის ხელოვნება | 5 | 81 ქულა | |
| 5 | მიკროეკონომიკა 1 | 5 | 81 ქულა | |
| 6 | სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 2 | 5 | 75 ქულა | |
| **2020-2021 სასწავლო წელი - გაზაფხულის სემესტრი** | | | | |
| 1 | ეკონომეტრიკა 2 | 5 | 61 ქულა | |
| 2 | ინგლისური ენა B2.2 | 5 | 73 ქულა | |
| 3 | მაკროეკონომიკა 1 | 5 | 65 ქულა | |
| 4 | მიკროეკონომიკა 2 | 5 | 72 ქულა | |
| 5 | სოციალური პოლიტიკა | 5 | 51 ქულა | |
| 6 | შრომის ეკონომიკა | 5 | 51 ქულა | |
| **2021-2022 სასწავლო წელი - შემოდგომის სემესტრი** | | | | |
| 1 | ადამიანური რესურსების მართვა | 5 | 64 ქულა | |
| 2 | ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა „ბალანსი" | 5 | 51 ქულა ნაცვლად 91 ქულისა | უნდა აღდგეს შეფასება 51 ქულა |
| 3 | ეროვნულ ანგარიშთა სისტემა | 5 | 53 ქულა | |
| 4 | მაკროეკონომიკა 2 | 5 | 63 ქულა | |
| 5 | მოსახლეობის ეკონომიკა | 5 | 57 ქულა | |
| 6 | საერთაშორისო ეკონომიკა 1 | 5 | 0 ქულა ნაცვლად 67 ქულისა | უნდა აღდგეს შეფასება 0 ქულა |
| **2021-2022 სასწავლო წელი - გაზაფხულის სემესტრი** | | | | |
| 1 | ეკონომიკური პოლიტიკა 1 | 5 | 68 ქულა ნაცვლად 69 ქულისა | |
| 2 | კეთილდღეობის ეკონომიკა | 5 | 55 ქულა ნაცვლად 57 ქულისა | |
| 3 | ფისკალური და მონეტარული სტატისტიკა | 5 | 57 ქულა | სასწავლო კურსი წაშლილია სასწავლო ბარათში და იგი უნდა აღდგეს შეფასებით 57 ქულა |
| 4 | შრომითი მიგრაცია | 5 | 51 ქულა | |
| 5 | სტატისტიკური პროგნოზირების | 5 | 24 ქულა | სასწავლო კურსი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | საფუძვლები | | | წაშლილია სასწავლო ბარათში და იგი უნდა აღდგეს შეფასებით 24 ქულა |
| 6 | ეკონომიკური აზრის ისტორია | 5 | 19 ქულა | სასწავლო კურსი წაშლილია სასწავლო ბარათში და იგი უნდა აღდგეს შეფასებით 19 ქულა |
| 7 | შრომის ანაზღაურება | 5 | | სასწავლო კურსი უნდა წაიშალოს სასწავლო ბარათიდან |
| 8 | საერთაშორისო ეკონომიკა 2 | 5 | | სასწავლო კურსი უნდა წაიშალოს სასწავლო ბარათიდან |
| | **2022-2023 სასწავლო წელი - შემოდგომის სემესტრი** | | | |
| 1 | დასაქმება და შრომის ბაზრის რეგულირება | 5 | 65 ქულა ნაცვლად 95 ქულისა | უნდა აღდგეს შეფასება 65 ქულა |
| 2 | ეკონომიკური აზრის ისტორია | 5 | 53 ქულა | |
| 3 | ეკონომიკური პოლიტიკა 2 | 5 | 52 ქულა | |
| 4 | მოსახლეობა და მსოფლიო განვითარება | 5 | 53 ქულა | |
| 5 | მსოფლიო ეკონომიკა | 5 | 66 ქულა | |
| 6 | ფირმის ეკონომიკა | 5 | 66 ქულა ნაცვლად 96 ქულისა | უნდა აღდგეს შეფასება 66 ქულა |
| 7 | საერთაშორისო ეკონომიკა 1 | 5 | 22 ქულა | სასწავლო კურსი წაშლილია სასწავლო ბარათში და იგი უნდა აღდგეს შეფასებით 22 ქულა |
| | **2022-2023 სასწავლო წელი - გაზაფხულის სემესტრი** | | | |
| 1 | ეკონომიკური ზრდა | 5 | 20 ქულა | |
| 2 | საერთაშორისო ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები | 5 | 73 ქულა | |
| 3 | შრომის ანაზღაურება | 5 | 0 ქულა | სასწავლო კურსი წაშლილია სასწავლო ბარათში და იგი უნდა აღდგეს შეფასებით 0 ქულა |
| 4 | ოპერაციათა კვლევა | 5 | 0 ქულა ნაცვლად 58 ქულისა | უნდა აღდგეს შეფასება 0 ქულა |
| 5 | მაკროეკონომიკური პროგნოზირება | 5 | 0 ქულა ნაცვლად 62 ქულისა | უნდა აღდგეს შეფასება 0 ქულა |
| 6 | მაკროეკონომიკური პოლიტიკა | 5 | 9 ქულა ნაცვლად 67 ქულისა | უნდა აღდგეს შეფასება 9 ქულა |
| 7 | პრაქტიკა (შრომის ეკონომიკა) | 5 | | სასწავლო კურსი უნდა წაიშალოს სასწავლო ბარათიდან |
| | **2023-2024 სასწავლო წელი - შემოდგომის სემესტრი** | | | |
| 1 | სოციალური სტატისტიკა | 5 | 5 ქულა | |
| 2 | სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა | 5 | | სასწავლო კურსი უნდა წაიშალოს სასწავლო ბარათიდან |
| | **2023-2024 სასწავლო წელი - გაზაფხულის სემესტრი** | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | ინსტიტუციური ეკონომიკის საფუძვლები | 5 | 59 ქულა | |

<u>საბა კალანდაძე (პ/ნ: 01027069750)</u> 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ჩაირიცხა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე, რომელიც დაასრულა 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში.

| № | სასწავლო კურსი | კრედიტი | შეფასება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 2019-2020 სასწავლო წელი - შემოდგომის სემესტრი | | | | |
| 1 | ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1 | 5 | 79 ქულა | |
| 2 | ინგლისური ენა B1.1 | 5 | 60 ქულა ნაცვლად 61 ქულისა | უნდა აღდგეს შეფასება 60 ქულა |
| 3 | ინფორმატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის | 5 | 76 ქულა | |
| 4 | მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 1 | 5 | 59 ქულა | |
| 5 | მიკროეკონომიკის პრინციპები | 5 | 66 ქულა ნაცვლად 67 ქულისა | უნდა აღდგეს შეფასება 66 ქულა |
| 6 | აკადემიური წერა | 5 | 66 ქულა | |
| 2019-2020 სასწავლო წელი - გაზაფხულის სემესტრი | | | | |
| 1 | ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა | 5 | 73 ქულა | |
| 2 | ინგლისური ენა B1.2 | 5 | 70 ქულა | |
| 3 | მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 2 | 5 | 65 ქულა | |
| 4 | მაკროეკონომიკის პრინციპები | 5 | 82 ქულა | |
| 5 | ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 2 | 5 | 81 ქულა | |
| 6 | მარკეტინგი 1 | 5 | 92 ქულა | |
| 2020-2021 სასწავლო წელი - შემოდგომის სემესტრი | | | | |
| 1 | ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა „ბალანსი“ | 5 | 6 ქულა | |
| 2 | სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 1 | 5 | 61 ქულა | |
| 3 | ინგლისური ენა B2.1 | 5 | 71 ქულა | |
| 4 | მენეჯმენტის საფუძვლები | 5 | 52 ქულა | |
| 5 | ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები | 5 | 52 ქულა | |
| 6 | მარკეტინგი 2 | 5 | 53 ქულა | |
| 7 | ლიდერობა - მართვის ხელოვნება | 5 | 61 ქულა | სასწავლო კურსი წაშლილია სასწავლო ბარათში და იგი უნდა აღდგეს შეფასებით 61 ქულა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 8 | ფისკალური და მონეტარული სტატისტიკა | 5 | | სასწავლო კურსი უნდა წაიშალოს სასწავლო ბარათიდან |
| **2020-2021 სასწავლო წელი - გაზაფხულის სემესტრი** | | | | |
| 1 | ადამიანური რესურსების მართვა | 5 | 62 ქულა | |
| 2 | ინგლისური ენა B2.2 | 5 | 66 ქულა | |
| 3 | ბიზნესის სამართალი | 5 | 75 ქულა | |
| 4 | ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკა: თეორია და პრაქტიკა | 5 | 51 ქულა ნაცვლად 52 ქულისა | უნდა აღდგეს შეფასება 51 ქულა |
| 5 | სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 2 | 5 | 56 ქულა | |
| 6 | შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში | 5 | 72 ქულა | |
| **2021-2022 სასწავლო წელი - შემოდგომის სემესტრი** | | | | |
| 1 | ფინანსური აღრიცხვა | 10 | 9 ქულა | |
| 2 | ოპერაციათა მენეჯმენტი | 5 | 68 ქულა | |
| 3 | საერთაშორისო ბიზნესი | 5 | 62 ქულა | |
| 4 | სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა | 5 | 54 ქულა | |
| 5 | საჯარო ფინანსები | 5 | 81 ქულა | |
| **2021-2022 სასწავლო წელი - გაზაფხული სემესტრი** | | | | |
| 1 | აუდიტის საფუძვლები | 5 | 14 ქულა | |
| 2 | კორპორაციათა ფინანსები | 5 | 51 ქულა | |
| 3 | მმართველობითი აღრიცხვა I | 5 | 9 ქულა | |
| 4 | საერთაშორისო მარკეტინგი | 5 | 56 ქულა | |
| 5 | საცალო ვაჭრობა | 5 | 51 ქულა | |
| 6 | შესავალი მასპინძლობის მენეჯმენტში | 5 | 51 ქულა | |
| 7 | შრომის ეკონომიკა | 5 | 51 ქულა | |
| **2022-2023 სასწავლო წელი - შემოდგომის სემესტრი** | | | | |
| 1 | ფინანსური აღრიცხვა | 10 | 51 ქულა | |
| 2 | ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება | 5 | 62 ქულა | |
| 3 | საბანკო საქმე 1 | 5 | 55 ქულა | |
| 4 | სადაზღვევო საქმე | 5 | 57 ქულა | |
| 5 | ტურიზმის ეკონომიკა | 5 | 57 ქულა | |
| 6 | შესავალი ტურიზმში | 5 | 67 ქულა | |
| **2022-2023 სასწავლო წელი - გაზაფხულის სემესტრი** | | | | |
| 1 | გადასახადები და დაბეგვრა | 5 | 76 ქულა | |
| 2 | მეწარმეობის ეკონომიკა | 5 | 66 ქულა | |
| 3 | მონაცემთა ბაზების დაპროექტება და მართვა | 5 | 92 ქულა | |
| 4 | საბანკო საქმე 2 | 5 | 87 ქულა | |
| 5 | საოჯახო ბიზნესის მართვა | 5 | 62 ქულა | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ტურიზმში | | | |
| 6 | ფასიანი ქაღალდების ბაზარი | 5 | 51 ქულა | |
| 7 | შრომითი მიგრაცია | 5 | 63 ქულა | |
| 8 | პროფესიული პრაქტიკა (ფინანსები და საბანკო საქმე) | 5 | 93 ქულა | |

**თორნიკე ხინთიბიძე (პ/ნ: 33001076518)** 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაზე. 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობის წესით გადაყვანილი იქნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ინფორმაციული სისტემების სამაგისტრო პროგრამაზე (სემესტრი I, აღიარებული კრედიტები - 5). 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან კვლავ მობილობის წესით გადაყვანილი იქნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაზე (III სემესტრი, 50 კრედიტი). ამჟამად თორნიკე ხინთიბიძე არის VI სემესტრის აქტიური მაგისტრანტი.

| № | სასწავლო კურსი | კრედიტი | შეფასება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| **2021-2022 სასწავლო წელი - შემოდგომის სემესტრი** | | | | |
| 1 | ეკონომეტრიკა II | 5 | 82 ქულა | არ აღიარდა |
| 2 | ეკონომიკური პოლიტიკა II | 5 | 94 ქულა | |
| 3 | მაკროეკონომიკა II | 5 | 95 ქულა | |
| 4 | მიკროეკონომიკა II | 5 | 98 ქულა | |
| 5 | საერთაშორისო ეკონომიკა II | 5 | 100 ქულა | |
| 6 | სტატისტიკური ანალიზის მეთოდები | 5 | 96 ქულა | |
| **2021-2022 სასწავლო წელი - გაზაფხულის სემესტრი** | | | | |
| 1 | ევროკავშირის ეკონომიკა | 5 | 100 ქულა | |
| 2 | ეკონომიკის მდგრადი განვითარება და მწვანე ეკონომიკა | 5 | 73 ქულა ნაცვლად 93 ქულისა | უნდა აღდგეს შეფასება 73 ქულა |
| 3 | ეკონომიკურ-ფინანსური დოქტრინები | 5 | 91 ქულა ნაცვლად 92 ქულისა | უნდა აღდგეს შეფასება 91 ქულა |
| 4 | ინოვაციური ეკონომიკა | 5 | 66 ქულა ნაცვლად 96 ქულისა | უნდა აღდგეს შეფასება 66 ქულა |
| 5 | კვლევითი პროექტი (ციფრული ეკონომიკა) | 5 | 0 ქულა | |
| 6 | საქართველოს ეკონომიკა | 5 | 77 ქულა ნაცვლად 97 ქულისა | უნდა აღდგეს შეფასება 77 ქულა |
| **2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან შიდა მობილობის წესით გადაყვანილი იქნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ინფორმაციული სისტემების სამაგისტრო** | | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამაზე (I სემესტრი, აღიარებული კრედიტები - 5) | | | | |
| 2022-2023 სასწავლო წელი - შემოდგომის სემესტრი | | | | |
| 1 | მონაცემთა ბაზების მართვის თანამედროვე სისტემები | 5 | 41 ქულა | |
| 2 | დაპროგრამების ტექნოლოგიები I | 5 | 0 ქულა | |
| 3 | ვებ სერვისების დაპროგრამების ტექნოლოგიები | 5 | 0 ქულა | |
| 4 | ინფორმაციის უსაფრთხოება და დაცვა | 5 | 6 ქულა | |
| 5 | ინფორმაციული მოდელები და სისტემები | 5 | 26 ქულა | |
| 6 | ინფორმაციული სისტემის ანალიზი | 5 | 0 ქულა | |
| 2022-2023 სასწავლო წელი - გაზაფხულის სემესტრი | | | | |
| 1 | მანქანური სწავლება | 5 | 0 ქულა | |
| 2 | ICT სწავლება - 2023 | 5 | 0 ქულა | |
| 3 | ადამიანი - კომპიუტერი ურთიერთქმედებები | 5 | 42 ქულა | |
| 4 | ინფორმაციის უსაფრთხოება და დაცვა | 5 | 73 ქულა ნაცვლად 93 ქულისა | უნდა აღდგეს შეფასება 73 ქულა |
| 5 | კვანტური ინფორმაციული ტექნოლოგიები | 5 | 0 ქულა | |
| 6 | კომპიუტერული უსაფრთხოება | 5 | 74 ქულა ნაცვლად 94 ქულისა | უნდა აღდგეს შეფასება 74 ქულა |
| 7 | კომპიუტერული ქსელები და უსაფრთხოება | 5 | 0 ქულა | |
| 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობის წესით სწავლა გააგრძელა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაზე (III სემესტრი, აღიარებული კრედიტი - 50) | | | | |
| 2023-2024 სასწავლო წელი - შემოდგომის სემესტრი | | | | |
| 1 | კვლევის მეთოდები ეკონომიკაში | 5 | 79 ქულა | |
| 2 | სტრატეგიული მენეჯმენტი ციფრულ ეკონომიკაში | 5 | 64 ქულა | |
| 3 | ციფრული ინოვაციები და ციფრული ტრანსფორმაცია | 5 | 77 ქულა | |
| 4 | ციფრული მარკეტინგი | 5 | 53 ქულა | |
| 5 | ციფრული მეწარმეობა და ანტრეპრენერი | 5 | 68 ქულა | |
| 2023-2024 სასწავლო წელი - გაზაფხულის სემესტრი | | | | |
| 1 | კვლევითი პროექტი (ციფრული ეკონომიკა | 5 | 91 ქულა | |
| 2 | მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია და ციფრული ეკონომიკური ტრანსფორმაცია | 5 | 81 ქულა | |
| 3 | ქცევითი ეკონომიკა | 5 | 96 ქულა | |

**სალომე კობახიძე (პ/ნ: 01024075667)** 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ჩაირიცხა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე. წერილიდან ჩანს რომ დამთხვევა არ არის სტუდენტის სასწავლო ბარათსა და მონაცემთა მართვის სისტემაში არსებულ ელექტრონულ უწყისებს შორის. კერძოდ, ცვლილება ფიქსირდება სასწავლო კურსში „პროფესორის ასისტენტობა“. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში ინახება ყველა დოქტორანტის ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ (პროფესორის ასისტენტობა). დოკუმენტების მიხედვით სალომე კობახიძეს შესრულებული აქვს 2 ანგარიში (პროფესორის ასისტენტობა), რომლებიც შესრულებულია 2018 წლის 11 ივლისს და 2019 წლის 16 თებერვალი. ორივე ნაშრომი შეფასებულია 98 ქულით და მათზე დაფიქსირებულია პასუხისმგებელი პირების ხელმოწერა და დამოწმებულია ფაკულტეტის ბეჭდით. სალომე კობახიძის სასწავლო ბარათში არ არის ცვლილებები შესატანი.

დეკანის მოადგილემ, ქალბატონ მანანა ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს მიმართა თხოვნით, რომ მიეღოთ გადაწყვეტილება მონაცემთა მართვის სისტემაში (LMS.TSU.GE, UNI.TSU.GE) ცვლილებების, კერძოდ, სტუდენტების რეალური შეფასებების კორექტირების შესახებ და დაჩი ტალახაძის მიმართ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ა. სილაგაძემ, პროფ. თ. შენგელიამ, პროფ. მ. ნაცვალაძემ.

სიტყვა მიეცა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტს დაჩი ტალახაძეს.

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: 1. საბჭომ გულდასმით განიხილა მონაცემთა მართვის სისტემაში (LMS.TSU.GE) სტუდენტის მიერ არასაქცირებული წესით ცვლილებების შეტანის საკითხი და დაადგინა:

1.1. იმის გათვალისწინებით, რომ დაჩი ტალახაძე სრულად აცნობიერებს მის მიერ განხორციელებულ არასაქცირებულ ქმედებას გამოეცხადოს საყვედური;

1.2. მონაცემთა მართვის სისტემაში (როგორც LMS.TSU.GE, ისე UNI.TSU.GE) აღდგეს დაჩი ტალახაძის მიერ მიღებული რეალური შეფასებები და რეალური სასწავლო კურსები (235 კრედიტის ნაცვლად 200 კრედიტი). კერძოდ, განხორციელდეს სასწავლო ბარათში ცვლილებების შეტანა.

- შეიცვალოს შეფასებები 12 სასწავლო კურსში (ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 1, მიკროეკონომიკის პრინციპები, ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა „ბალანსი“, საერთაშორისო ეკონომიკა 1, ეკონომიკური პოლიტიკა 1, კეთილდღეობის ეკონომიკა, დასაქმება და შრომის ბაზრის რეგულირება, ფირმის ეკონომიკა, ოპერაციათა კვლევა, მაკროეკონომიკური პროგნოზირება, მაკროეკონომიკური პოლიტიკა).

- „ჩაჭრილის“ სტატუსით აღდგეს სტუდენტის მიერ წაშლილი 5 სასწავლო კურსი (ფისკალური და მონეტარული სტატისტიკა, სტატისტიკური პროგნოზირების საფუძვლები, ეკონომიკური აზრის ისტორია, საერთაშორისო ეკონომიკა 1, შრომის ანაზღაურება);
- სასწავლო ბარათიდან წაიშალოს 4 სასწავლო კურსი (შრომის ანაზღაურება, საერთაშორისო ეკონომიკა 2, სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა, პროფესიული პრაქტიკა).

1.3. მონაცემთა მართვის სისტემაში (როგორც LMS.TSU.GE, ისე UNI.TSU.GE) აღდგეს კურსდამთავრებულ საბა კალანდაძის მიერ მიღებული რეალური შეფასებები და რეალური სასწავლო კურსები. კერძოდ, განხორციელდეს სასწავლო ბარათში ცვლილებების შეტანა.

- შეიცვალოს შეფასებები 3 სასწავლო კურსში (ინგლისური ენა B1.1, მიკროეკონომიკის პრინციპები, ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკა: თეორია და პრაქტიკა)
- სასწავლო ბარათში აღდგეს წაშლილი სასწავლო კურსი (ლიდერობა - მართვის ხელოვნება)
- სასწავლო ბარათში წაიშალოს 1 სასწავლო კურსი (ფისკალური და მონეტარული სტატისტიკა)

1.4. მონაცემთა მართვის სისტემაში (მხოლოდ LMS.TSU.GE) აღდგეს მაგისტრანტ თორნიკე ხინთიბიძის მიერ მიღებული რეალური შეფასებები.

- სასწავლო ბარათში შეიცვალოს შეფასებები 6 სასწავლო კურსში (ეკონომიკის მდგრადი განვითარება და მწვანე ეკონომიკა, ეკონომიკურ-ფინანსური დოქტრინები, ინოვაციური ეკონომიკა, საქართველოს ეკონომიკა, ინფორმაციის უსაფრთხოება და დაცვა, კომპიუტერული უსაფრთხოება).

1.5. მონაცემთა მართვის სისტემაში (როგორც LMS.TSU.GE, ისე UNI.TSU.GE) უცვლელი დარჩეს დოქტორანტ სალომე კობახიძის სასწავლო ბარათი.

2. სტუდენტის მიერ მონაცემთა მართვის სისტემაში არასანქცირებული წესით შეღწევისა და ცვლილებების შეტანის ფაქტის არსებობიდან გამომდინარე, ფაკულტეტის საბჭო მიმართავს თსუ საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს, გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა მართვის სისტემის სრულ დაცულობას, რათა არ მოხდეს მსგავსი ფაქტების განმეორება.

**მოისმინეს:** დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ქალბატონმა მ. ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს გააცნო „პროფესიულ პრაქტიკაში“ შეფასებების შეტანის დროს მონაცემთა მართვის სისტემაში (LMS.TSU.GE, UNI.TSU.GE) დაშვებული შეცდომის შესახებ.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულ **ალექსანდრე გოგოტიშვილის** (პ/ნ: 33001066776) განცხადების საფუძველზე ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა გადაამოწმა ალექსანდრე გოგოტიშვილის სწავლის შედეგები 2016-2017

სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ჩათვლით. ასევე, გადამოწმდა სტუდენტის მიერ მიღებული შეფასებების ბაზაში შეტანის სისწორე, სადაც აღმოჩნდა ხარვეზები. კერძოდ, შეცდომა დაფიქსირდა „პროფესიული პრაქტიკის“ შეფასებებში.

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში ინახება „პროფესიული პრაქტიკის“ შეფასებების უწყისი. ამ უწყისში დაფიქსირებული შეფასებები არ დაემთხვევა მონაცემთა მართვის სისტემაში დაფიქსირებულ შეფასებებს. კერძოდ, შეცდომები არის დაფიქსირებული 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შეფასებებში.

1. **პროფესიული პრაქტიკა (ბიზნესის ადმინისტრირება) - მოდული: საერთაშორისო ბიზნესი.** 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში საერთაშორისო ბიზნესის მოდულის პროფესიულ პრაქტიკაზე დარეგისტრირებული იყო 9 სტუდენტი. ყველა სტუდენტს მიღებული აქვს დადებითი შეფასება, თუმცა, მონაცემთა მართვის სისტემაში შეტანილი შეფასებები არ ემთხვევა უწყისში დაფიქსირებულ შეფასებებს. უწყისის მიხედვით ყველა სტუდენტს კომპონენტში „დასწრება/აქტიურობა“ მიღებული აქვს 40 ქულა, კომპონენტში „შუალედური შეფასება“ – 20 ქულა, ხოლო კომპონენტში „გამოცდა“ სტუდენტებს სხვადასხვა შეფასება აქვთ მიღებული. თუმცა, მონაცემთა მართვის სისტემაში ყველა სტუდენტს შეტანილი აქვს შეფასება 40 ქულა, რაც არასწორია.
2. **პროფესიული პრაქტიკა (ბიზნესის ადმინისტრირება) - მოდული: მარკეტინგი.** 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში მარკეტინგის მოდულის პროფესიულ პრაქტიკაზე დარეგისტრირდა 19 სტუდენტი. მათ შორის, კურსი დარეგისტრირებული აქვს მაკა რუსაძეს (პ/ნ: 01027069994). უწყისის მიხედვით მის მიერ მიღებული შეფასებებია: 30 ქულა (დასწრება/აქტიურობა) + 20 ქულა (შუალედური შეფასება) + 35 ქულა (გამოცდა) = 85 ქულა, თუმცა, ბაზაში კომპონენტში „დასწრება/აქტიურობა“ 30 ქულის ნაცვლად შეტანილია 40 ქულა და შესაბამისად საბოლოოდ 85 ქულის ნაცვლად დაფიქსირებული აქვს 95 ქულა.
3. **პროფესიული პრაქტიკა (ეკონომიკა) - მოდული: მენეჯერული ეკონომიკა.** 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში მენეჯერული ეკონომიკის მოდულის პროფესიულ პრაქტიკაზე დარეგისტრირდა 84 სტუდენტი. მათ შორის არის თამარი კუპატაძე (პ/ნ: 54001055762). უწყისის მიხედვით მის მიერ მიღებული შეფასებებია: 15 ქულა (დასწრება/აქტიურობა) + 15 ქულა (შუალედური შეფასება) + 55 ქულა (გამოცდა) = 85 ქულა. თუმცა, ბაზაში კომპონენტებში „დასწრება/აქტიურობა“ და „შუალედური შეფასება“ 15-15 ქულის ნაცვლად შეტანილია 20-20 ქულა და შესაბამისად საბოლოო შეფასება 85 ქულის ნაცვლად დაფიქსირებულია 95 ქულა.

ზემოჩამოთვლილ ყველა სტუდენტს, გარდა ალექსანდრე გოგოტიშვილისა, ხარისხი მიენიჭა 2022 წელს და შესაბამისად მათ სახელზე მომზადდა დიპლომი და დიპლომის დანართები. ალექსანდრე გოგოტიშვილს ხარისხი მიენიჭა 2024 წელს (ბრძანება №558/01-04, 08.07.2024), თუმცა ჯერ არ მომზადებულა მისი დიპლომის დანართი და შესაბამისად დიპლომი. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ცვლილებების შეტანა კურსდამთავრებულთა სასწავლო ბარათებში არ იწვევს რომელიმე კურსდამთავრებულისთვის აკადემიური მოსწრების

საშუალო ქულის ცვლილებას (დიპლომის ხარისხი - GPA).

დეკანის მოადგილემ, ქალბატონ მანანა ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს მიმართა თხოვნით, რომ მიეღოთ გადაწყვეტილება მონაცემთა მართვის სისტემაში (LMS.TSU.GE, UNI.TSU.GE) დაშვებული შეცდომის გასწორების შესახებ. კერძოდ, „პროფესიულ პრაქტიკის" კურსში რეალური შეფასებების კორექტირების შესახებ.

**აზრი გამოთქვეს: პროფ. ა. სილაგაძემ**

**ჩატარდა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24**

**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს:** საბჭომ მხარი დაუჭირა შემოთავაზებულ წინადადებას და დაადგინა, მონაცემთა მართვის სისტემაში (LMS.TSU.GE; UNI.TSU.GE) გასწორდეს შეცდომები და ბაზაში 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში საერთაშორისო ბიზნესის, მენეჯერული ეკონომიკისა და მარკეტინგის მოდულის სტუდენტებს პროფესიულ პრაქტიკაში დაუფიქსირდეს რეალური შეფასებები.

1. პროფესიული პრაქტიკა (მოდული: საერთაშორისო ბიზნესი)
   - გოგოტიშვილი ალექსანდრე (პ/ნ: 33001066776) - გამოცდაზე 40 ქულის ნაცვლად დაუფიქირდეს 37 ქულა;
   - გურგენაშვილი გივი (პ/ნ: 59001126269) – „გამოცდის" კომპონენტში 40 ქულის ნაცვლად დაუფიქირდეს 32 ქულა;
   - თანანაშვილი საბა (პ/ნ: 01024076789) - გამოცდაზე 40 ქულის ნაცვლად დაუფიქირდეს 37 ქულა;
   - კაპანაძე თემური (პ/ნ: 47001042068) - „გამოცდის" კომპონენტში 40 ქულის ნაცვლად დაუფიქირდეს 36 ქულა;
   - მეტრეველი ზურაბ (პ/ნ: 01027077160) - „გამოცდის" კომპონენტში 40 ქულის ნაცვლად დაუფიქირდეს 39 ქულა;
   - ყურბანოვი აბდულა (პ/ნ: 01027068136) - „გამოცდის" კომპონენტში 40 ქულის ნაცვლად დაუფიქირდეს 39 ქულა;
   - ჩიგოგიძე გიორგი (პ/ნ: 01008043477) - „გამოცდის" კომპონენტში 40 ქულის ნაცვლად დაუფიქირდეს 38 ქულა;
   - ხადილაშვილი ზურაბ (პ/ნ: 08001034410) - „გამოცდის" კომპონენტში 40 ქულის ნაცვლად დაუფიქირდეს 32 ქულა.
2. პროფესიული პრაქტიკა (მოდული: მარკეტინგი)
   - რუსაძე მაკა (პ/ნ: 01027069994) – „დასწრება/აქტიურობის" კომპონენტში 40 ქულის ნაცვლად დაუფიქსირდეს 30 ქულა
3. პროფესიული პრაქტიკა (მოდული: მენეჯერული ეკონომიკა)
   - კუპატაძე თამარი (პ/ნ: 54001055762) – „დასწრება/აქტიურობის" კომპონენტში 20 ქულის ნაცვლად დაუფიქსირდეს 15 ქულა და „შუალედური შეფასების" კომპონენტში - 20 ქულის ნაცვლად დაუფიქსირდეს 15 ქულა.

**მოისმინეს:** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ახლოვდება ფაკულტეტის დღე, რომელიც აღინიშნება 25 ივლისს. საიუბილეო ღონისძიებებს შორის, როგორც წესი ხდება აუდიტორიის სახელდება. მან საბჭოს წევრებს მიმართა, განისაზღვროს წლევანდელი ღონისძიების ფარგლებში ვისი სახელის მინიჭება მოხდება შერჩეული აუდიტორიისთვის.

დღეს უნივერსიტეტში მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის მსურველთა კლების ტენდენციაა თითქმის ყველა მიმართულებით. ამავდროულად, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით მაგისტრატურის საფეხურზე შესაძლებელია მეცადინეობა წარიმართოს ონლაინ ფორმატით - 120 კრედიტიდან 45 განხორციელდეს აღნიშნულ ფორმატში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზეც სასწავლო პროცესი წარიმართოს ამგვარად. მაგალითად, მოდულის საგნების ჩატარება შესაძლებელია ონლაინ. ამგვარი რეჟიმით მუშაობისას სავსებით შესაძლებელია მონიტორინგის ჩატარებაც. მნიშვნელოვანია რომ გამოცდა ჩატარდება არსებულ რეჟიმში.

მან აღნიშნა, რომ იწყება ფაკულტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრაზე მუშაობა. ამ მიმართულებით იგეგმება 2026 წლის 1 იანვრიდან ფაკულტეტზე დასაქმებულ აკადემიურ პერსონალს ხელფასის 10%-ით ზრდა. მეორე პრიორიტეტია საკონფერენციო დაფინანსების გაზრდა, რაც უკავშირდება ინფლაციურ პროცესების ზეგავლენას დაფინანსებაზე, ასევე ცვლილება შეეხება საკონფერენციო დაფინანსების ზედა ზღვარის ცვლილებასაც.

**ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის**
**საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი** გ. ღაღანიძე

**მდივანი, ასოცირებული პროფესორი** ლ. თოთლაძე

**გამოყენებულ ტერმინთა განმარტება**

1.**ძირითადი საათები** - აკადემიური პერსონალის კვირეული დატვირთვა, განსაზღვრული შებამისი კატეგორიის კონტრაქტით.

2.**დამატებითი საათები** - აკადემიური პერსონალის კვირეული დატვირთვა, შესაბამისი კონტრაქტით განსაზღვრული კვირეული დატვირთვის ზევით.

3. I **ეტაპისათვის გადაცემული სასწავლო საათები** - სასწავლო საათების ზღვრული რაოდენობა, რომელიც დაადგინა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა, გამომდინარე სასწავლო ცხრილებიდან, სტუდენტთა რაოდენობიდან და წინა წლების სტატისტიკიდან.

4. II **ეტაპისათვის გადაცემული სასწავლო საათები** - სასწავლო საათების დაზუსტებული რაოდენობა, რომელიც აღემატება I ეტაპზე გადაცემულ სასწავლო საათების რაოდენობას. მე-II ეტაპის გახსნა განპირობებულია: ა) მობილობით გადმოსულ სტუდენტთა რაოდენობით; ბ) სტუდენტთა ინდივიდუალური განცხადებებით (დამატებითი სემესტრი, სტატუსის ცვლილება და ა.შ.)

*I. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის კათედრებზე არსებული სავალდებულო დატვირთვის საათების განაწილების წესი*

1. კათედრებმა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ I ეტაპისთვის გადაცემული სასწავლო საათები[1] (კვირეული დატვირთვა) პირველ რიგში უნდა გაანაწილონ აკადემიურ პერსონალზე (აფილირებული აკადემიური პერსონალი „ა“ კატეგორიის კონტრაქტი) მათი სავალდებულო დატვირთვის შესრულების მიზნით.[2] I ეტაპის და II ეტაპის გაუნაწილებელი საათები უნდა გაანაწილდეს როგორც აკადემიურ, ასევე, მოწვეულ პერსონალზე.

*II. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის არსებული დამატებითი საათების განაწილების წესი*

1. დამატებითი საათები არ მიეცემა: ა) აკადემიურ პერსონალს, რომელსაც თსუ-ში აკადემიური თანამდებობის პარალელურად უკავია ადმინისტრაციული თანამდებობა ბ) აფილირებულ აკადემიურ პერსონალს -„ბ“ კატეგორიის კონტრაქტით.
2. თსუ-ს სხვა ფაკულტეტზე სასწავლო კურსების წასაკითხად მიწვეული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის განაწილებული საათები არ გაითვალისწინება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვაში (ძირითადი და დამატებითი) და შესაბამისად, მათზე, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან შრომითი ანაზღაურება არ გაიცემა.
3. აკადემიური პერსონალი შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრში ვერ ახდენს ძირითადი დატვირთვის შესრულებას, მაშინ გამონაკლისის სახით, შეიძლება მას დატვირთვა შეევსოს სხვა ფაკულტეტზე წაკითხული სასწავლო კურსის საათებიდან.
4. აკადემიური პერსონალისთვის დამატებითი სააუდიტორიო საათების საერთო რაოდენობა კვირაში განისაზღვროს არაუმეტეს 14 საათისა, რომელიც რეგულირდება შესაბამისი კათედრის ხელმძღვანელის მიერ, კათედრის პრიორიტეტებისა და გონივრული დაშვებიდან კვირეული დატვირთვის შესაბამისად.

---

[1] ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ტურიზმის სკოლის ჩათვლით.

[2] თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება N17, 09/02/2021. დანართი 3

5. **ასიმერტიული დატვირთვის გამონაკლის შემთხვევა.** კათედრის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით შესაძლებელია აკადემიურმა პერსონალმა შეასრულოს ორივე სემესტრის **ძირითადი დატვირთვის** საათები შემოდგომის სემესტრში (მაგალითად, სასწავლო კურსები, რომელსაც აკადემიური პერსონალი უძღვება მხოლოდ ერთ სემესტრში), ამ აკადემიურ პერსონალს მეორე, გაზაფხულის სემესტრში აქვს უფლება აიღოს მხოლოდ დამატებითი საათები.
6. ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებს აკადემიური პერსონალის დატვირთვების მონიტორინგს და საბოლოო ფორმირებას (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულება მუხლი 12, პუნქტი 4, ქვეპუნქტი „ა");

## III. *ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დამხმარე პერსონალისთვის სასწავლო საათების განაწილების წესი*[3]

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დამხმარე საშტატო თანამდებობებზე მომუშავე პერსონალისთვის საათების განაწილებისას, მათი ძირითადი საშტატო ფუნქციიდან გამომდინარე, გათვალისწინებულ უნდა იქნას სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების შესაბამისად.
2. კვირაში საათების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 14 საათს.

## IV. *ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოწვეული პერსონალის შერჩევისა და სასწავლო საათების განაწილების წესი*

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მოწვეული პერსონალის შერჩევა უნდა განხორციელდეს თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე (№119/2018, 30.04.2018). აღნიშნული წესით (მუხლი 3, პუნქტი 2), პროგრამის/კათედრის ხელმძღვანელი მოწვეულ კანდიდატებს, შესაბამისი დასაბუთებით წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს, რომელიც თავის მხრივ, თანხმობის შემთხვევაში, შრომითი ხელშეკრულების გაფორმების მიზნით შუამდგომლობით მიმართავს თსუ რექტორს.
2. დეკანის მიერ, მოწვეულ პერსონალზე მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში კათედრის ხელმძღვანელი ვალდებულია წარმოადგინოს ალტერნატიული კანდიდატურა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანი ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან ერთად უზრუნველყოფს შესაბამისი პერსონალის მოწვევას.
3. მოწვეული პერსონალისთვის კვირეული დატვირთვის მაქსიმალური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 14 აკადემიურ საათს. მოწვეული პერსონალი არ უნდა უძღვებოდეს (ატარებდეს სემინარულ მუშაობას) 3-ზე მეტ სასწავლო დისციპლინაში.[4]

## V. *აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის სწავლების სამივე საფეხურზე დღიური საათობრივი დატვირთვის განსაზღვრის შესახებ*[5]

---

[3] *ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს ოქმი №16, 19.11.2018*

[4] *ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს ოქმები: №7, 30.11.2012; №16, 19.11.2018*

[5] *ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს ოქმი №16, 19.11.2018*

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის (გარდა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისა) დღიური საათობრივი დატვირთვა, სწავლების სამივე საფეხურის გათვალისწინებით, განისაზღვროს არაუმეტეს 10 საათისა.
2. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის დღიური საათობრივი დატვირთვა რეგულირდება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების შესაბამისად.

### *VI. მაგისტრატურის საფეხურზე, სასწავლო მოდულის ფუნქციონირებისათვის სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ (სტუდენტების მინიმალური ქვოტა)*[6]

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის და ტურიზმის სამაგისტრო პროგრამებზე მოდულების შექმნისთვის სტუდენტების რაოდენობა განისაზღვროს მოთხოვნის შესაბამისად.

### *VII. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე არჩევითი სასწავლო კურსების მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრის შესახებ* [7]

1. მაგისტრატურის საფეხურზე არჩევითი სასწავლო კურსების მაქსიმალური რაოდენობა სემესტრში არ უნდა აღემატებოდეს 5-ს.
2. თუ საგანმანათლებლო პროგრამა სემესტრში ითვალისწინებს ერთი არჩევითი სასწავლო კურსის გავლას (მაგალითად, 5 კრედიტის მოცულობის), მაშინ პროგრამით სემესტრში უნდა იყოს შეთავაზებული არაუმეტეს 3 არჩევითი სასწავლო კურსი, ხოლო 2 არჩევითი სასწავლო კურსის გავლის შემთხვევაში (მაგალითად, 10 კრედიტის მოცულობის) პროგრამით შეთავაზებული უნდა იყოს არაუმეტეს - 5 არჩევითი სასწავლო კურსი.

### *VIII. არჩევითი სასწავლო კურსების განაწილების წესი*[8]

1. მაგისტრატურის საფეხურზე, ყოველ სემესტრში, საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, გაიხსნება ის არჩევითი სასწავლო კურსები, რომლებიც უნდა წარმოადგინოს კათედრის/პროგრამის (მოდულის) ხელმძღვანელმა შესაბამისი ქვოტების (სტუდენტების რაოდენობა) მითითებით.
2. კათედრის/პროგრამის (მოდულის) ხელმძღვანელმა უნდა წარმოადგინოს არანაკლებ ორი არჩევითი სასწავლო კურსი.
3. თუ, კათედრის/პროგრამის ხელმძღვანელი არ მიიჩნევს საჭიროდ საგანმანათლებლო პროგრამით წარმოგენილი არჩევითი სასწავლო კურსებისა და მის შესაბამისად ქვოტების (სტუდენტების რაოდენობა) წარმოდგენას, არჩევითი სასწავლო კურსები გაიხსნება ჩვეულებრივი წესით (მოდულის სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად).
4. კათედრის/პროგრამის (მოდულის) ხელმძღვანელების მიერ არჩევითი სასწავლო კურსების შესაბამისად წარმოდგენილი ქვოტების ზემოთ სტუდენტების

---

[6] *ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს ოქმი №16, 19.11.2018*

[7] *ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს ოქმი №16, 19.11.2018*

[8] *ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს ოქმი №7, 19.04.2019*

რაოდენობის დამატება ჯგუფებში განხორციელდება კათედრის/პროგრამის ხელმძღვანელთან წინასწარი შეთანხმებით. იმ შემთხვევებში, როდესაც სტუდენტმა დადგენილ ვადებში ვერ გაიარა ადმინისტრაციული რეგისტრაცია საპატიო მიზეზით (მობილობა, დამატებითი სემესტრი, ფინანსური პრობლემა და სხვა).

5. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა ვერ გაიარა აკადემიური რეგისტრაცია და ითხოვს მისთვის სასურველ არჩევით სასწავლო კურსს, ან არჩეული სასწავლო კურსის ცვლილებას, ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური საკითხს განიხილავს კათედრის/პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად და შეთანხმების შემთხვევაში მოხდება არჩევითი სასწავლო კურსის დარეგისტრირება ადმინისტრაციულად.
6. მაგისტრატურის საფეხურზე, ქვოტების (სტუდენტების რაოდენობა) განსაზღვრა შესაძლებელია მესამე (შემოდგომის) სემესტრში, როდესაც წინასწარ ცნობილია მოდულებში სტუდენტების ზუსტი რაოდენობა. მეორე (გაზაფხულის) სემესტრში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვს მოდული და შესაბამისი სასწავლო კურსები აირჩიოს აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში.

## *IX. გაცდენილი ლექცია-სემინარების აღდგენის წესის შესახებ*

1. აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ საპატიო მიზეზით (ავადმყოფობა, სხვა ობიექტური მიზეზი, წლის კალენდარით გათვალისწინებული უქმე დღეები)[9] ლექცია-სემინარების გაცდენის შესახებ ინფორმაცია წინასწარ წერილობით (განცხადება) უნდა ეცნობოს ფაკულტეტის ადმინისტრაციას, რომელშიც კათედრის გამგის რეზოლუციით, მითითებული უნდა იყოს ლექცია-სემინარების აღდგენის გრაფიკი ან კონკრეტული პედაგოგი, რომელიც ჩაანაცვლებს აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს; თუ, ვერ ხერხდება წინასწარ განაცხადის გაკეთება, მაშინ კათედრა ვალდებულია ფაკულტეტის ადმინისტრაციას ინფორმაცია ელ. ფოსტით ან სატელეფონო შეტყობინებით მიაწოდოს დროულად.
2. თუ, სემესტრის განმავლობაში, აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ ლექცია-სემინარების გაცდენა/ჩანაცვლება სხვა პედაგოგით სისტემატიურ ხასიათს ატარებს (ავადმყოფობის საპატიო მიზეზის ან სამეცნიერო მივლინების გარდა), მაშინ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ფაკულტეტის ადმინისტრაცია წერილობით აცნობებს შესაბამის კათედრას. კათედრის ხელმძღვანელი ვალდებულია ფაკულტეტის დეკანს წარუდგინოს ახსნა-განმარტება გაცდენის მიზეზთან დაკავშირებით და მოახდინოს პრობლემის აღმოფხვრა, რათა აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა დაიცვას შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები. წინააღმდეგ შემთხვევაში, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს, თსუ-ში მიღებული წესის ფარგლებში, დაეკისრება პასუხისმგებლობა კონტრაქტის პირობების დარღვევასთან დაკავშირებით.
3. ფაკულტეტის ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტები და შეასრულოს, მასზე, მოცემული წესით, ფაკულტეტის დებულებით და უნივერსიტეტის სხვა შესაბამისი შიდასამართლებრივი აქტებით დაკისრებული უფლება-მოვალეობები.
4. აკადემიური პერსონალის, მასწავლებლის, მოწვეული პერსონალის მიერ სალექციო/პრაქტიკული/ლაბორატორიული და სხვა სააუდიტორიო საათის (საათი)

[9] *თსუ რექტორის ბრძანება 95/01-01, 20.07.2012*

გაცდენის თითოეულ ფაქტზე დაწესებულების უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი ადგენს წერილობით დოკუმენტს, რომელშიც ფიქსირდება გამცდენის სახელი და გვარი, საგანმანათლებლო ერთეულის დასახელება, გაცდენილი საათი. წერილობითი დოკუმენტის ჩანაწერის სისწორე შესაძლებელია ასევე დასტურდებოდეს შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელის ან სხვა უფლებამოსილი პირის, ან თსუ-ს სხვა თანამშრომლის ხელმოწერით.

5. უნივერსიტეტის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნის საფუძველზე, აკადემიური პერსონალი, მასწავლებელი, მოწვეული პერსონალი ვალდებულია მოთხოვნიდან ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს განმარტება სააუდიტორიო საათის გაცდენის მიზეზის შესახებ.
6. აკადემიური პერსონალი, მასწავლებელი, მოწვეული პერსონალი ვალდებულია უზრუნველყოს თითოეული საპატიო მიზეზით გაცდენილი საათის აღდგენა მიმდინარე სემესტრის განმავლობაში. აღნიშნული პირობის შეუსრულებლობა წარმოადგენს შეუსრულებელი ვალდებულების გამო ანაზღაურების შესაბამისი ოდენობის დაქვითვისა და დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველს, რასაც დაწესებულების მხრიდან ასევე შესაძლებელია მოყვეს შინაგანაწესით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება მოქმედი კანონმდებლობისა და თსუ-ის შინაგანაწესით დადგენილი წესით.
7. აკადემიური პერსონალის, მასწავლებლის, მოწვეული პერსონალის მიერ შესაბამისი საათის არასაპატიო მიზეზით გაცდენა განიხილება შინაგანაწესისა და შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევად და უნივერსიტეტი უფლებამოსილია ამ მიზეზით განიხილოს შესაბამისი პერსონალის დისცილინური პასუხისმგებლობის საკითხი. ამასთან, აღნიშნულ შემთხვევაში შესაბამისი პერსონალი ვალდებულია უზრუნველყოს თითოეული გაცდენილი საათის აღდგენა მიმდინარე სემესტრის განმავლობაში. აღნიშნული პირობის შეუსრულებლობა წარმოადგენს შეუსრულებელი ვალდებულების გამო ანაზღაურების შესაბამისი ოდენობის დაქვითვისა და დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველს, რასაც დაწესებულების მხრიდან შესაძლებელია მოყვეს შინაგანაწესით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე შინაგანაწესით დადგენილი წესით.
8. სასწავლო ცხრილით გათვალისწინებულ საათებში სტუდენტთა გამოუცხადებლობის შემთხვევაში, აკადემიური პერსონალის, მასწავლებლის, მოწვეული პერსონალის მიერ შესაბამისი საათის გაცდენა ჩაითვლება საპატიოდ, თუ ის შესაბამისი სალექციო/პრაქტიკული/ლაბორატორიული კურსის პირველი 20 წუთი იმყოფებოდა აუდიტორიაში.
9. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესში ჩართულმა პერსონალმა (აკადემიური და მოწვეული), საზღვარგარეთ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზნით გამგზავრებამდე, უზრუნველყოს შესაბამისი კათედრის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი და ფაკულტეტის დეკანის მოადგილის დადებითი რეზოლუციის მქონე წერილობითი გეგმის წარმოდგენა დეკანთან, გაცდენილი აკადემიური საკონტაქტო საათების აღდგენის თაობაზე.